



## გაცვლითი პროგრამა კალიარის უნივერსიტეტში (იგალია)

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს კალიარის უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2 სტუდენტის შესარჩევად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მაგისტრატურის სტუდენტებს.

გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აქტიური სტატუსის მქონე:

- მაგისტრატურის საფეხურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის I სემესტრით გათვალისწინებული საგნები და დაგროვილი აქვთ შესაბამისი კრედიტები;

### სასწავლო მიმართულებები:

პოლიტიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებები, ბიზნესი/ეკონომიკა, სამართალი, მენეჯმენტი;

**შენიშვნა:** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გაცვლაში მონაწილეობის მიღების მსურველ მაგისტრატურის სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს სწავლის ერთი სემესტრი;

### გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

- იმ სტუდენტებს, რომლებსაც ერიცხებათ ფინანსური დავალიანება უნივერსიტეტის მიმართ;
- იმ სტუდენტებს, ვის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური სახდელი და დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან არ არის გასული 1 (ერთი) წელი, ან დისციპლინური სახდელი არ არის ვადაზე ადრე მოხსნილი.

### გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- პასპორტის ასლი;
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა (დანართი N1-ის შესაბამისად);
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (IELTS - 6.0; TOEFL - 78) ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატი. სერტიფიკატის წარმოდგენისგან თავისუფლებიან ის სტუდენტები, რომელთაც უნივერსიტეტის

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი აქვთ ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი კურსი და მიღებული აქვთ დადებითი შეფასება;

- ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე, GPA-ის მითითებით);
- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა);

**საკონკურსო კომისიის მიერ გაცვლითი პროგრამის კონკურსში სტუდენტების შერჩევის დროს მხედველობაში მიიღება:**

- სტუდენტის აკადემიური მოსწრება
- ინგლისურენოვანი საგნების არჩევის გამოცდილება და შესაბამისი შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უფიქსირდება, თუ არა სტუდენტს არაღამაკმაყოფილებელი (F) შეფასება;
- სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე;
- უფიქსირდება, თუ არა სტუდენტს მისი კანდიდატურის განხილვამდე უნივერსიტეტში ანალოგიურ საფეხურზე სწავლის პერიოდში გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, მათ შორის ERASMUS + - ის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა;
- სტუდენტის მოტივაცია, რომელსაც საკონკურსო კომისია ამოწმებს კანდიდატთან გასაუბრების დროს;
- სტუდენტის სამომავლო ხედვა, ფოკუსი და კრიტიკული აზროვნება.

**კრედიტების აღიარება:** მასპინძელ უნივერსიტეტში აღებული კრედიტების აღიარება მოხდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

**შენიშვნა:** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში სასურველი საგნების შესარჩევად სტუდენტებმა წინასწარი კონსულტაცია უნდა გაიარონ GIPA-ს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორთან, ხელმძღვანელთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

**ინგლისურენოვანი საგნების (წინასწარი) ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია ქვემოთ:**

[-მაგისტრატურა](#)

**იგალიაში სწავლის ხანგრძლივობა:**

ერთი სემესტრი (2023 წლის გაზაფხულის სემესტრი: თებერვალი-ივნისი)

**სწავლის საფასური:**

მასპინძელ უნივერსიტეტთან გაფორმებული პარტნიორობის ფარგლებში, 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში GIPA-ს სტუდენტებს არ მოუწევთ იგალიაში სწავლის საფასურის გადახდა. თუმცა, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის განმავლობაში სტუდენტი არ თავისუფლდება ჯიპა-ში შესაბამისი სემესტრის გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

**შენიშვნა:** შერჩეულმა სტუდენტებმა თავად უნდა დაფარონ საერთაშორისო მგზავრობის, ცხოვრების, საფიზო მოსაკრებლისა და დაზღვევის ხარჯები!

დაინტერესებულმა სტუდენტებმა ა/წ 23 სექტემბრის 19:00 საათამდე უნდა გამოაგზავნონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი შემდეგ ელ-ფოსტაზე: [n.bakradze@gipa.ge](mailto:n.bakradze@gipa.ge)

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის საშუალებით: [n.bakradze@gipa.ge](mailto:n.bakradze@gipa.ge) ან მითითებულ ნომერზე: 577 57 75 11

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!